დამტკიცებულია
შპს ჯეიბიეს სკოლის
დირექტორის მიერ

ფილოსოფია

მისია

ჯეიბიეს სკოლის მისიაა შექმნას გარემო, სადაც განათლება არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური ცოდნით, არამედ ხდება ძლიერი პიროვნების ჩამოყალიბება, ბავშვებს უვითარდებათ ჯანსაღი დამოკიდებულება შრომის, პასუხისმგებლობისა და გამარჯვების მიმართ.

ჩვენ ვქმნით სივრცეს, სადაც თითოეულ ბავშვს შეუძლია ისწავლოს და აღმოაჩინოს თავისი ინდივიდუალური პოტენციალი, განუვითარდეს ძლიერი ხასიათი და ემოციური ინტელექტი, ჰქონდეს თვითგამოხატვის შესაძლებლობა. ჩვენთან, შეცდომა განვითარების დასაწყისია, ყოველი გამოწვევა – ზრდის შესაძლებლობაა, ხოლო შრომა – წარმატების საფუძველი.

ჩვენი საგანმანათლებლო მოდელი აერთიანებს გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ განვითარებას ერთ მთლიან/ჰოლისტურ სისტემაში, რომელიც ეფუძნება დისციპლინას, სრულყოფილებისკენ სწრაფვასა და პიროვნულ გარდაქმნას. ჯანსაღ დამოკიდებულებას შრომის, პასუხისმგებლობისა და მიღწევების მიმართ.

გვჯერა, რომ ნამდვილი წარმატება იქმნება შემეცნების, დისციპლინისა და ბალანსის ერთიანობით. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით ვზრდით ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლობენ გამოწვევებთან გამკლავებას, მუდმივ განვითარებას და საკუთარი შესაძლებლობების რეალურ მიღწევებად გარდაქმნას.

ხედვა

ჩვენი ხედვაა ვიყოთ რეგიონში წამყვანი საგანმანათლებლო ინსტიტუცია, რომელიც ქმნის ჰოლიტური განათლების ახალ სტანდარტს.

ვხედავთ თაობას, რომელიც ინტელექტუალურად განვითარებულია, ფიზიკურად ძლიერი და ემოციურად მდგრადია; თაობას, რომელიც აზროვნებს დამოუკიდებლად, მოქმედებს დისციპლინით და ინარჩუნებს ბალანსს გონებასა და სხეულს შორის.

ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდებს, რომლებიც ლიდერობენ არა მხოლოდ აკადემიურ თუ სპორტულ სივრცეში, არამედ ცხოვრებაში — ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით, პასუხისმგებლობით და შეუპოვარი ხასიათით.

ღირებულებები:

- **ბალანსი** – აკადემიური, ფიზიკური და ემოციური უნარების ჰარმონია
- **მთლიანი/ერთიანი/ ჰოლისტური განვითარება** – გონების, სხეულის და ემოციების თანაბარი ზრდა
- **დისციპლინა** – ყოველდღიური შრომა, რომელიც ქმნის ჩვევას და შედეგს
- **სრულყოფილებისკენ სწრაფვა** – მუდმივი გაუმჯობესება და საკუთარი შესაძლებლობების გაფართოება
- **გამოწვევების მიღება** – სირთულეები არის ზრდის აუცილებელი ნაწილი
- **თვითმართვა/საკუთარი თავის მართვა** – საკუთარი თავის, ემოციებისა და გადაწყვეტილებების პასუხისმგებლობით მართვა
- **მიზანსწრაფულობა** – გრძელვადიანი მიზნებისკენ თანმიმდევრული სვლა
- **ღირებულებების ერთგულება** – პატივისცემა, პასუხისმგებლობა და სამართლიანობა